საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/6905
04/10/2021

6905-09-2-202110041704

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს
მის: ქ. თბილისი, იოველ ჯეგაშვილის 1-ლი გას. N5
ელ ფოსტა:vakhtang.kobaladze@csrdg.ge

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2021 წლის 27 სექტემბრის N23356 წერილთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ 2021 წელს რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის 2 შემთხვევასთან დაკავშირებით სააგენტომ არ განათავსა ფიზიკური პირების შესახებ მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია საკუთარ ვებგვერდზე, რადგან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული არ წარმოადგენდა ღია ინფორმაციას. ამასთანავე, ვინაიდან თქვენს წერილში არ არის მითითებული ზემოაღნიშნულ ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით მონაცემების დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლით განსაზღვრული კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი, აქედან გამომდინარე, სააგენტო ვერ გადმოგცემთ აღნიშნულ ინფორმაციას.

აქვე გაცნობებთ, რომ 2021 წელს რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის 7 შემთხვევასთან დაკავშირებით მოხდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირება. გიგზავნით საგამოძიებო ორგანოსთვის გაგზავნილი წერილების ასლებს ზემოაღნიშნული ფიზიკურების პირების შესახებ დაშიფრული ინფორმაციის სახით (იხ. დანართი).

დანართი: 6 ფურცელი

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge